საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/190

ქ. ბათუმი

29 ოქტომბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის №01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის მოსარგებლეთათვის სერტიფიკატის წესით დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 მარტის №01-02/45 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2021 წლის 28 ოქტომბრის №1153696 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს პროფესიული მომზადების პროგრამა **,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა"** N1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშილის ქ. №30)

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის
„ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ დამტკიცების
შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N 01-02/190
ბრძანების დანართი 1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა"
პროგრამის სახე: ▌ პროფესიული მომზადება □ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 2 ▌3 □ 4 □ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 9
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 10
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური: 10 მაქსიმალური: 20

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: განათლება - სრული ზოგადი; **ასაკი** - 18 წელი; **აპლიკანტთა შერჩევის ფორმა** - გასაუბრება
პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და უნარების მქონე კადრი, რომელსაც შეეძლება: საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დახასიათება და საქართველოს „წითელი ნუსხის" დანიშნულების განმარტება, ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესების და მეთოდების აღწერა, სამუშაოს ორგანიზება და ტყის არამერქნული რესურსის მოპოვება.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) 1. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი სახეობების დახასიათება; 2. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი ფოთლოვანი სახეობების დახასიათება; 3. საქართველოს „წითელი ნუსხის" დანიშნულების განმარტება; 4. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერა; 5. სამუშაოს ორგანიზება; 6. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვება.
პროგრამის შემუშავების საფუძველი: მოდულები - **,,0820102 - ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები"** და **,,0820108 - ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა"** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სატყეო საქმე" (დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის N01-02/168 ბრძანებით; ცვლილებები: ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 05 ივნისის N01-02/54 ბრძანება; ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 03 ივლისის N01-02/173 ბრძანება;)
პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამა ,,ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა" განკუთვნილია სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში დასაქმებული ან/და ნებისმიერი დასაქმების მსურველთათვის. 2020 წლიდან ბსუ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სატყეო საქმე". პროგრამის განხორციელების საჭიროება დადგა სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელის (N9/035; 12.10.2021წ.) წერილობითი მომართვის საფუძველზე (გაფორმდა მემორანდუმი). პროფესიული მომზადების პროგრამის

მოცულობა შეადგენს 90 სთ, რომელიც ხორციელდება 10 კვირის განმავლობაში (კვირაში - 10 სთ, 3-4 დღე დამსაქმებელთან შეთანხმებით). პროგრამა ხორციელდება ბსუ-სა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბაზაზე. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება V და IX კვირას. შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა)სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ. პროფესიული მომზადების დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობების დახასიათებას და საქართველოს „წითელი ნუსხის“ დანიშნულების განმარტებას, ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერას, სამუშაოს ორგანიზებას და ტყის არამერქნული რესურსის მოპოვებას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დამადასტურებელ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	1. წიწვოვანი სახეობების ჩამონათვალი და მათი დახასიათება; 2. წიწვოვანი სახეობების განმასხვავებელი ნიშნები.	1	10	ლექცია		A
2	1. წიწვოვანი სახეობების მერქნული თვისებების დახასიათება; 2. ფოთლოვანი სახეობების ჩამონათვალი და მათი დახასიათება.	1-2	10	ლექცია		A
3	1. ფოთლოვანი სახეობების განმასხვავებელი ნიშნები;	2	10	ლექცია		A

4	1. ფოთლოვანი სახეობების მერქნული თვისებების დახასიათება.	2	10	ლექცია		A
5	1. საქართველოს „წითელი ნუსხა“; 2. „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების დაცვის/გარემოდან ამოღების დადგენილი წესები; 3. „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობების ჩამონათვალი; 4. „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების დახასიათება.	3	6	ლექცია		A
	I, II და III სწავლის შედეგების შეფასება	1, 2, 3	4		**გამოკითხვა**	A
6	1. მოსაპოვებლად დაშვებული სახეობების დახასიათება; 2. არამერქნული რესურსის გავრცელების არეალები.	4	10	ლექცია		A
7	1. რესურსის რაციონალური დამზადების მნიშვნელობა; 2. სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა და სამუშაოს დროისა და ფუნქციების მიხედვით განაწილების პრინციპი; 3. სამუშაოს მოცულობის მიხედვით დამატებითი რესურსის საჭიროების/რაოდენობის განსაზღვრის საფუძველი/პრინციპი; 4. საჭირო ხელსაწყო-იარაღები; 5. სპეციალური ტანსაცმელის სახეები.	4-5	10	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა		A, C
8	1. რესურსის მოპოვების წესები; 2. სახეობის მიხედვით მოპოვების მეთოდები;	6	10	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა		A, C

9	1. მოპოვებული რესურსის ტრანსპორტირების წესები.	6	5	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა		A, C
	IV, V და VI სწავლის შედეგების შეფასება	4	5		გამოკითხვა	A
		5			პრაქტიკული დავალება	A, C
		6			პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	C

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგნმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა : სატყეო საქმე	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები / 0820102	1. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი წიწვოვანი სახეობების დახასიათება; 2. საქართველოს ტყის შემქმნელი ძირითადი ფოთლოვანი სახეობების დახასიათება; 3. საქართველოს „წითელი ნუსხის“ დანიშნულების განმარტება
ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა / 0820108	1. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვების წესებისა და მეთოდების აღწერა; 2. სამუშაოს ორგანიზება; 3. ტყის არამერქნული რესურსების მოპოვება.